

საინფორმაციო ფურცელი
ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევა
TBCI/MTPL-DIGITAL-02/17



როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- არ გადაადგილოთ დაზღვეული ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან (თუ არ იქნება მითითება სამართალდამცავი ორგანოების ან მზღვეველის მხრიდან);
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თიბისი დაზღვევას ცხელ ხაზზე: 242 22 22 და აცნობეთ სადაზღვევო შემთხვევის/ავარიის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას.

რა არ ანაზღაურდება?

- ზარალი, რომლის ხარჯები გაწეულ იქნა მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- დაზღვეულ ავტომობილს მართავდა 21 (ოცდაერთი) წლამდე ასაკის ან/და მართვის უფლებამოსილების არმქონე მძღოლი;
- სადაზღვევო შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს.
- ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია ავტომობილის ან/და მისი ცალკეული ნაწილების/დეტალების გაუმართაობამ ან დაზღვეული ავტომობილი მართვისას გამოუსადეგარ მდგომარეობაში იმყოფებოდა;
- თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძღოლის მსგავსი მოქმედება განპირობებულია მესამე მხარის სიცოხლისა და ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- ზარალი გამოწვეული იყო თვითმკვლელობის, თვითდასახიჩრების ჩადენისას ან/და ასეთის მცდელობისას;
- პოლისში მითითებული ავტომობილი მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში (მათ შორის Off Road);
- დამზღვევი/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება, გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია;
- როდესაც დამზღვევი დაზიანებული მესამე პირის ქონების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

- თუ მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტს ადგილიდან დაძრავენ (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითებების არსებობის შემთხვევისა);
- თუ არსებობდა ორმაგი დაზღვევა, მაგრამ დამზღვევეს ამის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია წერილობითი სახით;
- იმ შემთხვევას, როდესაც დაზარალებული წარმომადგენს პირს, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში მართავდა სადაზღვევო პოლისში მითითებულ ავტომობილს ან დამზღვევეს პირს (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;
- ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც წარმომადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მიზღობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტომობილით ან დაზღვეულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
- მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას/გარდაცვალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- ნებისმიერი ხასიათის მორალურ ზიანს;
- წმინდა ფინანსურ ზარალს, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება/განადგურება;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სრულად და დროულად არ იყო გადახდილი პოლისში მითითებული თანხის/სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანი;
- დადგა საქართველოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები.

რა შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს დაზღვევა?

პოლისი შესაძლოა შეწყდეს, თუ:

- არ იქნა გადახდილი პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემია. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდგომი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე, პოლისი ავტომატურად გაუქმდება;
- ამოიწურა სადაზღვევო პოლისის ვადა;
- ამოიწურა პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო ლიმიტი;
- მზღვეველი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით წყვეტს საქმიანობას;
- მხარეები შეთანხმდნენ წერილობითი სახით ხელშეკრულების შეწყვეტაზე;
- დამზღვევის და მზღვეველის მხრიდან ცალმხრივად, ქვემოთ მოცემული პირობების მიხედვით.

დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა

დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი ცნობება მზღვეველთან ხდება 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.

თუ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ანაზღაურებული არ იყო სადაზღვევო შემთხვევები:

- უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევს დაუბრუნდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გამოუმუშავებელი ნაწილი, 10%-ის გამოკლებით;
- დავალიანების (გადაუხდელი პრემიის) არსებობის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია დავალიანების დაფარვასთან ერთად მზღვეველს გადაუხადოს ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისთვის გამოუმუშავებელი პრემიის 10%.
- ახალი პოლისის გაცემის შემთხვევაში, დამზღვევი აღარ იხდის ჯარიმას - გამოუმუშავებელი პრემიის 10%-ს.

თუ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ანაზღაურებული იყო სადაზღვევო შემთხვევები, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა

მზღვეველის მხრიდან დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია დამზღვევისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

მზღვეველს აქვს უფლება დამზღვევის მხრიდან არსებული დავალიანება მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გზებით.

ინფორმაცია ჩვენი საზედამხედველო ორგანოს შესახებ

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, აბულაძის ქ. #34.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: 242 22 22 ან ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდიდან: www.tbcinsurance.ge. ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე: თბილისი, ალ. ყაზბეგის 24ბ. II სართული.

თქვენს შეტყობინებას განიხილავს სატელეფონო ცენტრისა და ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. #TBCI/MTPL-DIGITAL-02/17 ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების დეტალურად ნახვა შესაძლებელია ჩვენს ვებ გვერდზე www.tbcinsurance.ge.

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!